საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030127015404420

№ 01-190/ო **07 / მაისი / 2020 წ.**

კორონავირუსზე SARS-CoV-2 სავალდებულო ტესტირებას დაქვემდებარებულ პრიორიტეტულ პირთა ნუსხის დამტკიცების შესახებ

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლისა და ,,საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს: **კორონავირუსზე SARS-CoV-2 სავალდებულო ტესტირებას დაქვემდებარებული პრიორიტეტულ პირთა ჩამონათვალი:**

ა) „ახალი კორონა ვირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების პრევენციისა და მართვის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 25 მარტის N01-123/ო ბრძანების N4 დანართის შესაბამისად შემთხვევის სტანდარტული განმარტებით მოცული შემთხვევები;

ბ) დადასტურებული შემთხვევების კონტაქტები;

გ) „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში საჯარო სერვისებისა და ადმინისტრაციული საქმისწარმოების განხორციელების განსხვავებული წესების დადგენის შესახებ” საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის N184 დადგენილების (შემდგომში - N184 დადგენილება) მე-2 მუხლის პირველი პუნქტით დამტკიცებული N1 და N2 დანართებით განსაზღვრულ სამედიცინო დაწესებულებებში მოხვედრილი პაციენტები;

დ) ნებისმიერ სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში მოხვედრილი პაციენტი პნევმონიის დიაგნოზით;

ე) ნებისმიერ სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში მოხვედრილი ცხელებით მიმდინარე შემთხვევა, თუ ამავდროულად აღენიშნება რესპირატორული დაავადების ნიშნები, ან ექიმის გადაწყვეტილებით, მხოლოდ ცხელების მქონე პირები სხვა საეჭვო კლინიკური ნიშნებით;

ვ) ამ პუნქტის „გ’’ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სამედიცინო დაწესებულებებში მომუშავე პერსონალი;

ზ) სასწრაფო სამედიცინო გადაუდებელი დახმარების და კატასტროფის ბრიგადების თანამშრომლები;

თ) ხანდაზმულთა და შშმპ პირთა სადღეღამისო სპეციალიზებული დაწესებულებებში:

თ.ა) მოთავსებული ბენეფიციარები და მომსახურე პერსონალი;

თ.ბ) ჩასარიცხი ბენეფიციარები, დაწესებულებაში მოთავსებამდე.

ი) ტუბერკულოზზე ახლად დიაგნოსტირებული ყველა პირი, შესაბამის მკურნალობაში ჩართვამდე;

კ) საკარანტინე სივრცეებში, ასევე თვითიზოლაციაში მყოფი პირები საკარანტინე სივრცის დატოვებამდე ან/ და თვითიზოლაციის ვადის გასვლამდე 24 საათით ადრე ან შემთხვევის სტანდარატული განმარტების შესაბამისი რომელიმე სიმპტომის გამოვლენისთანავე;

ლ) საკარანტინე სივრცეებში მომუშავე პერსონალი;

მ) საბაჟო-გამშვებ და სასაზღვრო პუნქტებში დასაქმებული პირები, მათ შორის, სამედიცინო და ეპიდემიოლოგიური სამსახურების წარმომადგენლები;

ნ) ამ პუნქტის „გ'' ქვეპუნქტით განსაზღვრული სამედიცინო დაწესებულების გარდა სხვა ყველა სტაციონარული სამედიცინო დაწესებულების მიმღების, ინტენსიური თერაპიისა და რეანიმაციულ განყოფილებებში დასაქმებული პერსონალი და ეპიდემიოლოგები;

ო) სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ეროვნული ცენტრი) და მუნიციპალურ საზოგადოებრივ ჯანმრთელობის ცენტრების ეპიდემიოლოგები, რომლებიც უშუალოდ ახორციელებენ კონტაქტების კვლევას და/ან ტესტირებას;

პ) ახალი კორონავირუსის პჯრ ლაბორატორიულ დიაგნოსტიკაში ჩართული პერსონალი.

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტის „ვ“, „ზ'', „თ.ა“, „ლ“, „მ“, „ნ“, „ო'' და „პ'' ქვეპუნქტებით განსაზღვრული პირები ტესტირებას ექვემდებარებიან გეგმიურად 14 დღეში ერთხელ, ხოლო სიმპტომების შემთხვევაში „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

3. ამ ბრძანების „კ'' ქვეპუნქტით განსაზღვრულ საკარანტინე სივრცეებში მოთავსებულ პირთა ნაცხის აღება, საკარანტინე სივრცის დატოვებამდე 24 საათით ადრე, ასევე, „ლ'' ქვეპუნქტით განსაზღვრული პირების ნაცხის აღება განხორციელდეს საკარანტინე სივრცეებში მომუშავე სამედიცინო პერსონალის მიერ და გადაგზავნილ იქნეს ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის ბრძანებით დადგენილი წესით განსაზღვრულ ლაბორატორიებში.

4. ამ ბრძანების „კ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული თვითიზოლაციაში მყოფი პირების ნაცხის აღება, თვითიზოლაციის ვადის გასვლამდე 24 საათით ადრე განხორციელდეს მუნიციპალური საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრების მიერ და გადაგზავნილ იქნეს ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის ბრძანებით დადგენილი წესით განსაზღვრულ ლაბორატორიებში.

5. ამ ბრძანების „ი'' ქვეპუნქტით განსაზღვრული პირების ტესტირება განხორციელდეს იმ სამედიცინო დაწესებულების შესაბამისი პერსონალის მიერ, სადაც აღნიშნული პირები არიან რეგისტრირებულნი.

6. დაევალოს ეროვნულ ცენტრს ამ ბრძანების ამოქმედებიდან 10 (ათი) დღის ვადაში უზრუნველყოს ქვეყნის მასშტაბით საკარანტინე სივრცეებში მომუშავე სამედიცინო პერსონალის გადამზადება სავალდებულო ტესტირების განსახორციელებლად საჭირო უნარ -ჩვევებზე.

7. ეთხოვოს მუნიციპალურ საზოგადოებრივ ჯანდაცვის ცენტრებს, საკარანტინე სივრცეებში მომუშავე სამედიცინო პერსონალის გადამზადებამდე უზრუნველყონ იქ მოთავსებულ პირთა ნაცხის აღება საკარანტინე სივრცის დატოვებამდე 24 საათით და ადრე, ასევე, საკარანტინე სივრცეებში მომუშავე პერსონალის ნაცხის აღება და გადაგზავნა ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის ბრძანებით დადგენილი წესით განსაზღვრულ ლაბორატორიებში.

8. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული კორონავირუსზე SARS-CoV-2 სავალდებულო ტესტირებას დაქვემდებარებული პრიორიტეტული პირების ტესტირება ჩატარდეს „ახალი კორონავირუსით (SARS - COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) ლაბორატორიული დიაგნოსტიკის ალგორითმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის პირველი აპრილის N01-144/ო ბრძანებით განსაზღვრული მეთოდოლოგიით.

9. ამ პუნქტით განსაზღვრული სავალდებულო ტესტირებას დაქვემდებარებული პრიორიტეტული პირების ჩამონათვალი ექვემდებარება ცვლილებას ეპიდემიოლოგიური ვითარების შესაბამისად საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე.

10. ამ ბრძანებით განსაზღვრული ჯგუფების ნაცხის აღებისა და ნიმუშების ლაბორატორიული დიაგნოსტიკის ჩატარება ექვემდებარება დაფინანსებას სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში დადგენილი წესით, პროგრამის მიმწოდებელ სერვისებად რეგისტრირებულ დაწესებულებებში.

11. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე, ხოლო ბრძანების მე-3 პუნქტი ამოქმედდეს 2020 წლის 11 მაისიდან.

ხელმოწერილია/
ელექტრონულად